პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 მაისი პარასკევი 1973 წელი 2 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 121 (15638)

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲜᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

26-27 მაისს ვენახების რესპუბლიკური დათვალიერებაა

თვალსაჩინოებით მოვუაროთ ვაზს — ქართული მეღვინეობისა!

□ ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩავატაროთ ვენახების დათვალიერება, ენერგიის დაუზოგავად ვიბრძოლოთ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

□ სეთიწლეულის მესამე, გადამწყვეტ წელს უნდა მივიღოთ უერკნის რაც შეიძლება მეტი მოსავალი. ამისათვის საჭიროა ეფექტური, ენერგიული მრეწველობა და სასოფლო-სამეურნეო ფილიალების ერთიანი, ორგანული ერთეულად ფუნქციონირება.

26-27 მაისს ტარდება ვენახების რესპუბლიკური დათვალიერება. დათვალიერების მიზანია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად საზოგადოებრივ მეურნეობებში ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელების, აგრეთვე ჩატარებული სამუშაოების შემოწმება, იმის ანალიზი, თუ როგორ აღვადგინოთ ყანწვით დაზიანებული ვენახები, რომ მომდინარე წელს მივიღოთ იმის მაჩვენებელი, რის მოცემაც შეუძლიათ საქართველოს ზვრებს.

ამ ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარებისათვის შექმნილია კომისიები ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში, რაიონებში, საზოგადოებრივ მეურნეობებში.

დათვალიერების შედეგების მიხედვით მოწინავე სპეციალისტები და მევენახეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით, ხოლო საზოგადოებრივი მეურნეობები, განყოფილებები, ბრიგადები, აგრეთვე სპეციალისტები და მევენახეები — სამინისტროების, უწყებებისა და პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებით.

ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩავატაროთ ვენახების რესპუბლიკური დათვალიერება, ვიბრძოლოთ მომდინარე წელს უურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის!

□ □

გურჯაანელთა ზვრებში

გურჯაანი. (ხაკ. კორ.). რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების 8.000 ჰექტარ ვენახებში ზამთრისა და გაზაფხულის სამუშაოები აგროვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულდა. მექანიზატორებმა ნიადაგი რიგთაშორის ჩინებულად დამუშავეს და ახლა მავ-ფხვიერ მდგომარეობაშია.

მეკუზნისა და გურჯაანის საბჭოთა მეურნეობებში, ველისცოხის, ჩუმლაყის, ვაზიანებნის, არაშენდის კოლმეურნეობებში ვენახები თავის დროზე გასხლეს, შეუყვლეს და შაბამნით პირველი წამლობაც ჩაატარეს.

რაიონში ვენახების შაბიამნით პირველი წამლობა დამთავრდა, მეორე წამლობა დასასრულს უახლოვდება. გარდა ამისა, ვენახებში ჩატარდა მწვანე ოპერაციები, მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებანი.

მიუხედავად ყინვებით გამოწვეული ზიანისა, ჩუმლაყის, შაშიანის, ველისციხის კოლმეურნეობების, გურჯაანის, მუკუზნისა და შრომის საბჭოთა მეურნეობების მევენახეები წელს სანაქებოდ შრომობენ და პირობა დადეს, უურძნის დამზადების გეგმები უთუოდ შეასრულონ.

ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲨᲐᲠᲐᲚᲘᲗ?!

მევენახეობა თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობების საერთო შემოსავლის 60-70 პროცენტს იძლევა. მშრომელები საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის ბევრს ზრუნავენ, მაგრამ ჯერჯერობით სასურველი ნაყოფი მაინც არა ჩანს. მივმართოთ ფაქტებს. შარშან თერჯოლის რაიონის საზოგადოებრივი ზვრებიდან სახელმწიფოს მიეყიდა 3.599 ტონა ყურძენი, რაც მთელი ჩაბარებული ყურძნის მხოლოდ 23 პროცენტს შეადგენს.

ეს არის საზოგადოებრივი ვენახების ცუდი მოვლა-პატრონობის, სიმეჩხრის, მეგვენახეობაში მეცნიერების მიღწევების, მეჩანიზაციის ნაკლებად დანერგვის ნაყოფი. ამას შარშანდელი მაგალითიც ადასტურებს, როცა საზოგადოებრივ სექტორში სამუალოდ ჰექტარზე მიიღეს 37 ცენტნერი ყურძენი, ხოლო საკარმიდამოებიდან — 50 ცენტნერი.

სიმონეთის, ნახშირეულის, გოდოგნის, ძვერის კოლმეურნეობებმა შარშან ჰექტარზე მხოლოდ 15-22 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობამ ცენტნერი ყურძენი 23 მანეთით გაყიდა და 17.800 მანეთი იზარალა.

სიმონეთელები არც წელს გრძნობენ პასუხისმგებლობას. აქაური 66 კომუნისტი და მათი ოჯახის წევრები კოლმეურნეობის 95 ჰექტარი ვენახიდან მხოლოდ 9,16 ჰექტარს (მთელი ფართობის 9 პროცენტი) ამუშავებენ. სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებებით მათ უნდა აწარმოონ ყურძნის მთელი მოსავლის მხოლოდ 12 პროცენტი. განა ეს არის კომუნისტების ავანგარდული როლი? მაგრამ ამაზე ნაკლებად ფიქრობენ კომუნისტები დ. ბოჭორიშვილი, შ. ფანჩულიძე, ვ. ჩაფიძე, ჯ. გოქაძე, ბ. ჯიშიაშვილი, რომელთა ოჯახებს შარშან არც ერთი კაკადღა არ გამოუშუშავებიათ.

ყურძნის დაბალი მოსავლიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია სიმეჩხრე. 1970 წლის აღწერით საზოგადოებრივ სექტორში ვენახს აკლდა 980 ათასი ძირი ვაზი, ანუ 19,8 პროცენტი. 1971 წლის დასაწყისში თერჯოლის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებების გატარების შედეგად სიმეჩხრე 12 პროცენტამდე შემცირდა. ეს არის 700 ათასამდე ძირი ვაზი, ანუ 200 ჰექტარი ვენახი.

წელს აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და ხარისხიანად ჩატარებისათვის „საქსოფლტექნიკის“ თერჯოლის განყოფილებასთან შეიქმნა მექანიზებული რაზმი.

სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ სამამულო წარმოების წვრილი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები დაბალი ხარისხისაა. მათ შეკეთებაზე საკმაო თანხები იხარჯება, რაც ზრდის ყურძნის თვითღირებულებას. უბარისხო რუსთავის რკინაბეტონის ქარხნის მიერ გამოშვებული ციმენტის ბოძები, რომლებიც ნაადრევად გამოდიან მწყობრიდან.

პ. ᲨᲘᲝᲙᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ფედერალური კანცლერის ვილი ბრანდტის მიწვევით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები. მთლიანად მოიწონეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მისი ვიზიტის პოლიტიკური შედეგები, რომლებსაც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამკვიდრებს შემობრუნებას იმ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, რომელთანაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ თითქმის ყველა დიდ საერთაშორისო საკითხში სპაირისპირო პოლუსებზე ვიდექით, შემობრუნებას საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ახალი, მშვიდობიანი დრისათვის ნორმალური ურთიერთობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისაკენ.

მოსკოვის 1970 წლის ხელშეკრულებით და ერთი წლის შემდეგ ორეანდში მიღწეული შეთანხმებით განსაზღვრული ხაზის შესაბამისად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკება კანცლერ ვ. ბრანდტთან, სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეთანხმებანი, რომლებიც ვიზიტის დროს არის ხელმოწერილი, მხარეების ერთობლივი განცხადება ვიზიტის შედეგების შესახებ სახავენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარგი ურთიერთობისა და კეთილმეზობლური თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებს მშვიდობის ინტერესებისათვის. ეს სავსებით შეეხება ორი ქვეყნის ეკონომიურ ურთიერთობასაც, სამრეწველო, ტექნიკურ და კულტურულ თანამშრომლობას ხანგრძლივ საფუძველზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხების განხილვა მიმდინარეობდა კონსტრუქციული სულისკვეთებით. ისინი დიდად აფასებენ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს გამოთქვეს კეთილი გრძნობები საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა ხალხის მიმართ.

გერმანიის ფედერაციულ. რესპუბლიკაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური კურსის რეალური განხორციელებაა, დიდი მნიშვნელობა აქვს დაძაბულობის შენელების, ევროპის ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების გზით შემდგომი წარმატებული წინსვლისათვის.

თანმიმდევრული, გამიზნული პოლიტიკა, რომელსაც ამ მიმართულებით ადგანან სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის კონსტრუქციული, სულ უფრო მტკიცე თანამშრომლობა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან მიღწეული ურთიერთგაგება საერთაშორისო პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებზე, მათ შორის ევროპის უშიშროების საკითხებზე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დადებითი შედეგები, — ყოველივე ეს დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის, უშიშროებისა და მტკიცე მშვიდობის დამკვიდრებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი რგოლებია და ასეთი მშვიდობის უზრუნველყოფას ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა ექნებოდა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები კვლავ დამაჯერებლად მოწმობენ საზოგადოებრივი წყობილების მიუხედავად სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკის გამარჯვებას, პოლიტიკისა, რომელიც თანამედროვე ეტაპზე ყველაზე სრულად აისახა სკკპ XXIV ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მიერ მოწონებულ მშვიდობის პროგრამაში. სწორედ ამიტომ ამ ვიზიტის შედეგებს დიდად აფასებენ საბჭოთა ხალხი, სოციალიზმის ქვეყნები, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობა, ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ძალები.

ᲚᲔ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ — ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ

ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ უნდა მოგახსენოთ, რომ აღფრთოვანებული გახლავართ იმ შედეგით, რომელიც მოჰყვა ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისა და ვილი. ბრანდტის ურთიერთ მოლაპარაკებას.

მსოფლიოში ყველამ უნდა გაიგოს და შეიგრძნოს, რომ ეს არის მოლაპარაკება, რომელიც ემსახურება ხალხთა შორის მშვიდობის საქმეს.

ეს მოლაპარაკება და მისი შედეგები მიტად სასარგებლოა ორივე ქვეყნისათვის — როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის.

მე გახლავართ მეცნიერული შემოქმედებითი შრომის წარმმადგენელი და ამიტომ მესმის, რომ მეცნიერულ შრომას ესაჭიროება მშვიდობა და ხალხთა შორის ურთიერთგაგება, პატივისცემა.

მთელი ჩემი არსებით მივესალმები ამ დიდ ისტორიულ მოვლენას.

Ა. ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲡᲝ დაძაბულობის შენელების გზაზე „უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და მისი ბერლინელი ფედერალურ კანცლერთან ვილი ბრანდტთან.

შეხვედრები ბონში უეჭველია გაგონილს იქნებენ არა მარტო ევროპის სახელმწიფოებზე, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხების ურთიერთობაზე და ეს არის უდიდესი მისია, რომელიც შეიძლება აღინიშნოს საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თანმიმდევრულმა, ბრძნულ მ ა, მშვიდობისმოყვარულმა პოლიტიკამ, რომელსაც ბეჯითად უდგას სათავეში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი, საგრძნობლად შეარყია რევანშისტთა და მილიტარისტთა პოზიციები. დღეს დენთის სუნი უფრო ნაკლებად ტრიალებს ჰაერში და ჩვენი სიხარულიც ამით არის გამოწვეული.

ᲚᲔ. ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
მწერალი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გაიმართა ინფორმაციის მორიგი დღე.

რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის განვითარების გზებზე მეცნიერული ისაუბრა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ვ. ბგერელიშვილი.

ინტერიერის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ცალიკაშვილმა მიმოხილა საერთაშორისო მდგომარეობა. (საქინფორმი).

285.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲪᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲣᲗᲤᲚᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ხუთწლედის დამკვრელურ წელს აკეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ გეგმით გათვალისწინებული 87.410 ტონის ნაცვლად 48 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ახალი მოსავლის ხარისხოვანი ფოთოლი უკვე გაიგზავნა ჩაის ფაბრიკებში.

ხელვაჩაურის რაიონში მოსავლის აღებას ერთ-ერთი პირველი სოფელ ურეხის კოლმეურნეობის კოლმეურნეობის მეჩაიეები შეუდგნენ. მიმდინარე წელს კოლმეურნეობა ვალდებულებასთან ერთად 360 ტონა ფოთოლს მოკრეფს. კოლმეურნეობის ყველა მეჩაიემ ხუთწლედის დამკვრელურ წელს ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრა. № 4 ბრიგადამ, რომელსაც მურად ვარშანიძე ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა გასულთან შედარებით 5 ტონით მეტი, ე. ი. 80 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფოს.

სურათზე: ჩაის კრეფა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხის კოლმეურნეობის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადაში. წინა პლანზე ხ. ვარშანიძე, რომელმაც ვალდებულება იკისრა წელს ერთი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს.

ნ. ანსტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲗᲐ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მოგესალმებით და მადლობა გიხდიან თქვენ და ასამბლეის მონაწილეებს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის სახელოვან იუბილეს და აფრიკის ერთიანობისუფლების დღეს.

მოკლე ისტორიულ ეადაში აფრიკამ დიდად იცოცხა სახე. კოლონიური სისტემა სამუდამოდ ლიკვიდირებულია კონტინენტის უმეტეს ნაწილზე. აფრიკის ხალხებმა მოიშორეს კოლონიური ბორკილი და შეეიდნენ განვითარების ახალ პერიოდში, ერთხელ საკუთარი ცხოვრების შემოქმედნი და საერთაშორისო პოლიტიკის აქტიური მონაწილენი. აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნები კოლონიალიზმის მიერ დატოვებული მძიმე მემკვიდრეობის დაძლევასთან ერთად ყოველ ღონეს ხმარობენ ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის.

აფრიკის ხალხთა ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მონაპოვარი იყო აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის შექმნა. ისტორიაში პირველად საერთა-კონტინენტური მასშტაბით გაერთიანებულ აფრიკის ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცათ ერთად წყვეტდნენ მათ წინაშე მდგომ პრობლემებს, ერთად იბრძოდნენ მსოფლიო იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ.

შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ იმ ფაქტს, რომ აფრიკის სახელმწიფოებმა უმოკლეს ვადაში დაამკვიდრეს ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე და აქტიურად მონაწილეობენ იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც ინტერესებს მთელ კაცობრიობას. აფრიკის ქვეყნებისა და მათი ერთობის ორგანიზაციის გამოსვლებმა იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობისათვის, მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების დასაცავად აამაღლეს აფრიკის საერთაშორისო პრესტიჟი და დადებინ გავლენას ახდენენ მსოფლიო მოვლენების განვითარებაზე. და ახლა მსოფლიოს პროგრესული ძალები დასასურეთულად სცემენ პატივს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე დიდ და ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას.

მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი წარმატებაა შეთანხმების მიღწევა ვიეტნამის ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ. ამ კეთილშობილურ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს აფრიკის დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმაც. ამ შეთანხმების ზუსტად დაცვას მოჰყვება საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება, ხელს შეიწყობს იმ სხვა კონფლიქტების მოწესრიგებას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას. უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობანი იქმნება იმისათვისაც, რომ მოწესრიგდეს ახლო აღმოსავლეთის კრიზისი უშიშროების საბჭოს ცნობილ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ამ რაიონის ყველა ხალხის, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის უფლებათა დაცვის პირობებში. ამას ხელი უნდა შეეწყოს აფრიკისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა სოლიდარობამ ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ადამიანები მიეხალმებიან აფრიკელი ხალხების წარმატებებს კონტინენტზე კოლონიალიზმის ნაშთების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში; ისინი მიესალმებიან გვინეის (ბისაუს), ანგოლისა და მოზამბიკის თავისუფლებისათვის მებრძოლებს, აგრეთვე სამხრეთ აფრიკის ხალხებს, რომლებიც რასიზმის წინააღმდეგ იბრძვიან. საბჭოთა კავშირი ყოველთაობა უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს ამ ხალხებს კეთილშობილურ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირი, ხელმძღვანელობს რა ინტერნაციონალიზმის უარყვი ლენინური პრინციპებით, რომლებიც მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საბჭოთა პროგრამაშია აისახა, თანმიმდევრულად იბრძვის იმისათვის, რომ აფრიკის ყველა ხალხს მიეცეს შესაძლებლობა აშენონ თავიანთი ცხოვრება ისე, როგორც მოეთხოვოს ამას მათი ინტერესები, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესები, რომ ისინი მთელიანად ფლობდნენ და განაკარგებდნენ თავიანთ ეროვნულ სიმდიდრეებს ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, გაბედულად მიდიოდნენ წინ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა გზით.

მხურვალედ ვუსურვებთ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის ასამბლეის საიუბილეო სესიის მონაწილეებს ნაყოფიერ მუშაობას და დიდ წარმატებებს მთელი კონტინენტის ხალხთა საკეთილდღეოდ. დაე მეორე ათწლეულმა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციას მოუტანოს ახალი გამარჯვებანი აფრიკის ხალხთა ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

Გ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘ,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

Ա. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘ,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ᲖᲐᲞᲠᲘᲠᲭᲘᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲣᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ. ᲛᲔᲛᲝᲠᲜᲔᲥᲔᲔᲑᲡ. ᲔᲥᲡᲞᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ. ᲛᲔᲣᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲜᲐᲜᲘᲚᲘ

ᲙᲘᲠᲘᲨᲐᲜᲗ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მსურვალედ ულოცავენ ზაპოროჟიეს სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეშენებელთა, მემონტაჟეთა, ექსპლოატაციის მუშაკთა კოლექტივებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს, იმას, რომ წარმატებით ამოქმედდა ელექტროსადგურის პირველი რიგი 1.200 ათასი კილოვატი საპროექტო სიმძლავრით.

თქვენი შესანიშნავი შრომითი გამარჯვება მოწმობს, რომ წარმატებით სრულდება სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ქვეყნის ენერგეტიკული ბაზის შემდგომი განვითარების, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების, ასამუშავებელ მშენებლობებზე ძალებისა და საშუალებების კონცენტრაციის შესახებ. ფართოდ გამოიყენეს და გაიუმჯობესეს რა თბოელექტროსადგურების ჩქაროსნული მშენებლობის მოწინავე გამოცდილება, ზაპოროჟიეს სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლებმა და მონტაჟელებმა თითქმის 1,4-ჯერ შეამცირეს ამგვარი ენერგეტიკული ობიექტების ნორმატიული ვადები, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება. ელექტროსადგურმა უკვე აწარმოა პირველი მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ ზაპოროჟიეს სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ენერგომშენებლები, ექსპლოატაციის მუშაკები, დამპროექტებლები კვლავაც ბეჯითად იშრომებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, წარმატებით დამთავრებენ ამ უდიდესი ელექტროსადგურის მშენებლობას და ამუშავებენ სრული 3 მილიონ 600 ათასი კილოვატი სიმძლავრით.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ

Ա. Გ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲡ

24 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩი 	sნ კუანი მინი საბჭოთა კავშირიდან მის მომავალ გამგზავრებასთან დაკავშირებით. გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში გაიმართა საუბარი, რომლის დროს განიხილეს ორივე ქვეყნისათვის საინტერესო საკითხები.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის განყოფილების გამგე ს. ხ. ნემჩინა.

(საკდესი).

ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

ᲑᲝᲜᲝ, 23 მაისი. (საკდესი). მეუნხენის სახელმწიფო ზარაფხანამ გამოუშვა სამახსოვრო მედალი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის გამო.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲓᲐ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-560“

1973 ᲬᲚᲘᲡ 23 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-560“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ᲚᲔ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ — ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ

ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ უნდა მოგახსენოთ, რომ აღფრთოვანებული გახლავართ იმ შედეგით, რომელიც მოჰყვა ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისა და ვილი. ბრანდტის ურთიერთ მოლაპარაკებას.

მსოფლიოში ყველამ უნდა გაიგოს და შეიგრძნოს, რომ ეს არის მოლაპარაკება, რომელიც ემსახურება ხალხთა შორის მშვიდობის საქმეს.

ეს მოლაპარაკება და მისი შედეგები მიტად სასარგებლოა ორივე ქვეყნისათვის — როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის.

მე გახლავართ მეცნიერული შემოქმედებითი შრომის წარმმადგენელი და ამიტომ მესმის, რომ მეცნიერულ შრომას ესაჭიროება მშვიდობა და ხალხთა შორის ურთიერთგაგება, პატივისცემა.

მთელი ჩემი არსებით მივესალმები ამ დიდ ისტორიულ მოვლენას.

Ა. ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ᲡᲐ

იდეურ ცხოვრებას — მეტი შინაარსი, ჰმეჯდითოება

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე

პარტიისა და თვითკრიტიკის, ზეიელი იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესების ნიშნით ჩაიარა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა, რომელშიც განიხილა საკითხი „ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მომხსენებელმა — პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ხაბეიშვილმა და სტუკვებით გამოსულმა ამხანაგებმა — საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ლ. სულაბერიძემ, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების დირექტორმა მ. თენიეშვილმა, პედინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის docentმა დ. კოპალიანმა, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის მუშამ შ. მგალობლიშვილმა, საქართველოს ლაკ. ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ფიჩუაშვილმა და სხვებმა ანალიზი გაუკეთეს ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობას, ილაპარაკეს მის ქმედითობისა და მიზანდასახულობაზე. აღინიშნა, რომ ქალაქის მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის დაგეგმა 105 პროცენტით შეასრულა, ხოლო მთლიანი პროდუქციის წარმოებისა — 105,1 პროცენტით.

მაგრამ ამასთან ჯერ კიდევ უვიდან მიღწეული არ არის წარმოების ზუსტი რიტმი და საბრო ეფექტიანობა. თუ პირველ კვარტალში საწარმოო დავალებათა შესრულებას თავი გაართვა ქალაქის ყველა საწარმომ და ორგანიზაციამ, აპრილში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ვერ შეასრულა ოთხმა საწარმომ. საგანგო დაგალებათა შესრულებას კვლავ დიდ ზიანს აყენებს ხანგრძლივი დროის დანაკარგები, პროდუქციის ბრაკი. აღინიშნა, რომ ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა წინაშე მდგომი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანები ყოველთვის არ იყო უზრუნველყოფილი იდეოლოგიურად, სტუდიას არ მოსდევდა საქმე, ირღვეოდა სამეურნეო და პოლიტიკური საქმიანობის ერთიანობის ღონისძიებანი.

ორიდამაკმაყოფილებლად მუშაობენ პარტიის მოთხოვნა ხელმძღვანელთა კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადებისა და ეკონომიური განათლების შესახებ. ზოგიერთი მთელი ვერ ეროკვეა წარმოების მართვის თანამედროვე მეთოდებში, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებში, არ მონაწილეობს იდეოლოგიურ მუშაობაში.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სკოლები და სემინარები, რომელებსაც ხელმძღვანელობენ მე-12 საგზაო-სარემონტო სამენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი ენუქიძე, „საქმთავარგაზის“ № 5 ტრესტის ყოფილი მმართველი მაჩაიძე, ავეჯის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე გაგუა და სხვები.

მოყვანილ იქნა ასეთი ფაქტიც: ლექტორი გ. მშვილდაძე „ითხუელობს ლექციას თემაზე „სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობა“, რომლის ტექსტი შედგენილია 1972 წლის ოქტომბერში. მასში გამოყენებული არ არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახებ“, საბჭოთა საქართველოს ეკონომიური წარმატებანი განხილულია სსრ კავშირის ხალხთა მიღწევებისგან მოწყვეტით. სამწუხაროდ, მსგავსი მაგალითები გამონაკლისი არ არის.

ზოგი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას უთმობს მზრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

საწარმო-დაწესებულებებსა და სატრანსპორტო და საშენებელო ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ბრძოლა ზიანს ხელმწიფეო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, არის შრომის დისციპლინის დარღვევის, ვაკრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელში მომხმარებელთა მოტყუების ფაქტები.

პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ სოციალისტური შეჯიბრების საკითხობისა და შეხვედრობის, ეს ხშირად ფორმალური ხასიათის ატარებს, მიეწყვებელი მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა.

საოლტაციო მასობრივი მუშაობის ხელულ შეეფასებლობის ინეენ მე-6 საგზაო-სექციალიტეტი უბნისა და ქალაქის პირველადა პარტიულ ორგანიზაციებში.

საქალაქო კომიტეტის პლენუმმა დასახა ღონისძიებანი.

პლენუმმა სხვა საკითხებზე გადასვლის ვიდა მეორე მდივანი ლ. ბიბორკა წყვრის მოგალეობიდან გამათავისუფლა ნ. სისარულიძე. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად ლ. ბეზდეკი წყვრად არჩეულია გ. ფხაკაძე.

დ. ბეჟენიძე,
„კომუნისტის“ ხელ. კორ.

ხალხის ნებით

17 მარტს ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა!

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების კანდიდატთა რეგისტრაციაა

საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებაში ახლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დადგა. უკვე დასახელებული არიან რეспუბლიკის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები, გაამართა მშრომელების წარმომადგენელთა ხალქო ნინასაარჩევნო კომისიები რეგისტრაციაში ატარებენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს. ხალხის ეს ღირსეული შვილები კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის წარმომადგენლები არიან. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს მუშები და კოლმეურნეები, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი. საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრები. რეспუბლიკის მშრომელები ხელავენ და აფასებენ მათს უსაზღვრო ერთგულებას სოციალისტური სამშობლოსადმი.

თბილისი. დიდი აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 16 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ. ამ ოლქში ენგელსურის შესახებ თანხმობა გამოცხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ ამბროსის-ძე შევარდნაძემ.

კომისიამ საწარმოებისა და დაწესებულებების, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით ქალაქ თბილისის № 16 საარჩევნო ოლქში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გაატარა რეგისტრაციაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ედუარდ ამბროსის-ძე შევარდნაძე**, რომელიც დასახელდა თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა.

გაიმართა ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 580 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. ამ ოლქში ენგელსურის შესახებ თანხმობა განაცხადა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პავლე გიორგის-ძე გილაშვილმა, რომელიც ავეჯის კომბინატ „განთიადის“ კოლექტივმა დასახელა.

სხდომაზე მიიღეს დადგენილება ქალაქ თბილისის № 580 საარჩევნო ოლქში თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გაატარო რეგისტრაციაში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **პავლე გიორგის-ძე გილაშვილი.**

გაიმართა საქართველო რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების № 20 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელმაც რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გაატარა რეგისტრაციაში მოწინავე მუშა **გიორგი ეფრემის-ძე რეხვიაშვილი.** იგი დასახელა ქარხანა „საქმოფლმანქანის“ კოლექტივმა.

საქართველო რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების № 24 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ დაადგინა № 24 საარჩევნო ოლქში რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გაატაროს რეგისტრაციაში № 2661 ავტოკოლონის მოწინავე მძღოლი **ავაკი პეტრეს-ძე მაისურაძე,** რომელიც ამ ოლქის საარჩევნო კომისიამ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გაატარა რეგისტრაციაში მოქანდაკე **ელგუჯა დავითის-ძე ამაშუკელი,** რომელიც საქართველოს მხატვართა კავშირის საერთო კრებამ დასახელა.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი **ელისო კონსტანტინეს ასული ვირახალაძე** რეგისტრირებულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად № 272 საარჩევნო ოლქში ამ ოლქის საარჩევნო კომისიის სხდომაზე.

კალინინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების № 18 ოლქის საარჩევნო კომისიამ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ცენტრალური ტელეგრაფის მრჩეველი **ნინო ვახტანგის ასული თოთაძე.**

მოვუაროთ, ვუმკურნალოთ ვაზს

ბოლო წლებში ჩვენს კათედრაზე და საერთოდ ინსტიტუტში საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ხშირად მოდის წერილები, რომლებშიც იტყობინებიან ვენახების ინტენსიურ დაზიანებაზე. მთელ რიგ რაიონებში ადგილებზე შემოწმებით დადგინდა, რომ ვენახების დაზიანების მიზეზი ვაზის ერთ-ერთი ფრიად მავნე მწერი, **ამერიული ბალიშა** ცრუფარიანაა, იგი ამამადვენახების ყველაზე სარეთხული მავნებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ადრე, **ამერიული** ბალიშა ცრუფარიანის გავრცელება და ვენახების საგრძნობი დაზიანება ცნობილი იყო მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით იმერეთში, ამიტომაც, კი, რადგან ორკვეა, მისი ზონა უფრო გაფართოვდა და მოიცავს მთლიანად დასავლეთ საქართველოს ვენახებს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ხსენებული ცრუფარიანა ჯერჯერობით რეგისტრირებულია **ხაშურის, ქარელის, გარდაბნის, მუხეთის** რაიონებში და თბილისის მიდამოებში.

იმერეთ ბალიშა ცრუფარიანის ხელსაბორიგად მოიწეფებული დედლის სხეული ბოლოდ-ოდესლერია, სიგრძით 5-დან 11 მმდე, ზურგის მხრიდან მოწითალო-ყავისფერი. კვერცხის დების პროცესში დედალი ცრუფარიანა გამოპკოფს თეთრ, ელიფსურ ნივთიერებას, რომლის ძაფებისაგან შედგება მისი საკვერცხე ბანი (ოთისაკი), აქ ეს მავნებელი კვერცხებს ათავსებს. საკვერცხე ბანთა დალარულია. როგორც თეთრ დედლის კვერცხის პროდუქციის ხიდიდე, ისე საკვერცხე ბანთის ზომა ცვალებადია.

ეს მავნებელი საგრძნობ ზიანს აყენებს ზეხეტაფონის, ხაჩიერის, თეთრწყლის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, ჯინის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ხაშურისა და ქარელის რაიონების, ქიათურის ვენახებს. ყირიდ ვაზისა, ის აზიანებს ზეხილოვან და კენკროვან მცენარეებს და ტყის ჯიშებს.

